

ი.მ. ტრისტან სიჭინავა

აუდიტორული, საბუღალტრო,
საკონსულტაციო მომსახურება.

დამოუკიდებელი აუდიტორი



☎ : 599 24 62 84

სერთიფიკატი №6/102

აუდიტორული დასკვნა №2/5

შპს „ფოთი ტვ“-ს 2019 საფინანსო-სამეურნეო
წლის ფინანსური ანგარიშების შესახებ

მისამართი: ქალაქი ფოთი, წმინდა გიორგის 16
 სამართლებრივი ფორმა: კერძო საკუთრება
 ს.კ. 215083291
 საქმიანობა: რადიომუწყებლობა
 დირექტორი: გოდერძი ქართველიშვილი

აუდიტორული დასკვნა მოიცავს, 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. განხილულ იქნა მოცემული პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის, მარაგების, დებიტორ - კრედიტორების, მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივების, ძირითადი საშუალებების, მოგება -ზარალის ანგარიშების აუდიტი.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილი დოკუმენტების სისრულესა და უტყუარებაზე. ეს გულისხმობს მათ მიერ შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვას რაც საჭიროა ფინანსური ანგარიშების სამართლიანი მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტის პასუხისმგებლობაა ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატო მოსაზრება აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშების შესახებ და გავცე შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმდაგვარ დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა ანგარიშგება არსებით უზუსტობას. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულების შემოწმებას, ტესტირების საფუძველზე ანგარიშგებაში ასახული თანხების დადასტურების მიზნით. აუდიტი ასევე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა რომ ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დადებითი დასკვნის შესადგენად. წარმოდგენილი ანგარიშგება ჩვენი აზრით სამართლიანად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას. ჩვენი დასკვნით

აუდიტის ობიექტს რაიმე ხელშესახები ფინანსური გადაცდომა არ ქონია, რომელიც უარყოფით გავლენას იქონიებდა საბოლოო ფინანსურ შედეგებზე.

წარმოდგენილი ანალიზი, მოსაზრებები და დასკვნები წარმოადგენს ჩვენს პირად მიუკერძოებელ, ობიექტურ და პროფესიანულ ანალიზს, მოსაზრებებს დასკვნებს.

დასკვნის შედგენის თარიღი: 22 აპრილი 2020წელი

ი.მ ტრისტან სიჭინავა- დამოუკიდებელი, სერთიფიცირებული აუდიტორი



/ტ. სიჭინავა/